საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საპენსიო სააგენტოს დირექტორის

ბრძანება №003

2019 წლის 30 ივლისი

ქ. თბილისი

პენსიის და საპენსიო აქტივების გაცემის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ

„დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-7 პუნქტის, მე-9 მუხლის მე-9 პუნქტის, 23-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, 32-ე, 33-ე და 34-ე მუხლების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საპენსიო სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 15 აგვისტოს №421 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტისა და საპენსიო სააგენტოს სამეთვალყურეო საბჭოს 2019 წლის 3 ივნისის №4 სხდომის ოქმის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1.

დამტკიცდეს პენსიისა და საპენსიო აქტივების გაცემის შესახებ თანდართული ინსტრუქცია.

მუხლი 2.

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სსიპ საპენსიო სააგენტოს დირექტორი **ლევან სურგულაძე**